

(სსმ III, 18.06.2010 N 71 მუხ. 1044)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
010.260.040.22.027.014.746

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის
ბრძანება N 114
2010 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი**

**თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციის წესის
დამტკიცების შესახებ**

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის “თ” ქვეპუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და 66-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:
 - ა) თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციის წესი (დანართი N 1) ;
 - ბ) თვითმმართველი ერთეულების რეგისტრის ფორმა (დანართი N 2) ;
 - გ) თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციის შესახებ ცნობის ფორმა (დანართი N 3);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 24 ნოემბრის N 772 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზ. ადეიშვილი

დანართი N 1

თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციის წესი

1. თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციას, შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე, აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).

2. თვითმმართველი ერთეულის სარეგისტრაციო მონაცემებია:

ა) თვითმმართველი ერთეულის დასახელება;

ბ) თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებები;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციაში გატარების თარიღი და რეგისტრაციის საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

3. თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციის თაობაზე თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარის მომართვა უნდა შეიცავდეს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს. ამ წესის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული სახით.

4. დეპარტამენტი თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციას უზრუნველყოფს ამ წესის მე-2 პუნქტში მითითებული მონაცემების იუსტიციის სამინისტროსათვის გადაცემიდან 7 დღის ვადაში. რეგისტრაციაზე (რეგისტრაციის ცვლილებაზე) უარი დასაშვებია, თუ საკრებულოს თავმჯდომარის მიმართვაში არ არის მითითებული ამ წესის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები.

5. რეგისტრირებული თვითმმართველი ერთეულის გაუქმების შემთხვევაში, თვითმმართველი ერთეულების რეესტრში ცვლილებებს დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში.

6. თვითმმართველი ერთეულის დასახელების, თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებების სახელწოდების, თვითმმართველი ერთეულის საიდენტიფიკაციო კოდისა და თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შემთხვევაში, თვითმმართველი ერთეულების რეესტრში ცვლილებებს დეპარტამენტი ახორციელებს ამავე თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე, მისი წარდგენიდან 7 დღის ვადაში. მომართვაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ცვლილებების თაობაზე ნორმატიული აქტის რეკვიზიტები და მას თან უნდა ერთვოდეს ამ ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

7. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციის დროს არ იყო წარმოდგენილი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების აღწერა და სქემატური რუკა, აღნიშნული საზღვრების ცვლილების შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა ერთოდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების

აღწერა და სქემატური რუკები, როგორც საზღვრების შეცვლამდე, ისე საზღვრების შეცვლის შემდეგ არსებული მდგომარეობით.

დანართი N 2

თვითმმართველი ერთეულების რეესტრის ფორმა

N	თვითმმართველი ერთეულის დასახელება	თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებები	თვითმმართველი ერთეულის რეესტრაციის თარიღი და რეესტრაციის საიდენტიფიკაციო კოდი	თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა	თვითმმართველი ერთეულების რეესტრში რეესტრაციის თარიღი და ნომერი	თვითმმართველი ერთეულის მონაცემების ცვლილებები
1	2	3	4	5	6	7

დანართი N 3

ცნობა

თვითმმართველი ერთეულის რეესტრაციის შესახებ

გაიცა _____ -ზე
(თვითმმართველი ერთეულის დასახელება)

მასზედ, რომ იგი რეესტრირებულია თვითმმართველი ერთეულების რეესტრში

საგადასახადო ორგანოში რეესტრაციის თარიღი და საიდენტიფიკაციო კოდი „_____“ „_____“ „_____“ წ. „
000000000

თვითმმართველი ერთეულების რეესტრში რეესტრაციის თარიღი და ნომერი „_____“ „_____“ „_____“ წ. „
N

სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერა:

ბ.ა.

